წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 10

ქ. წალკა; 11.04.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:35 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ფრაქციის წევრების გასვლის და ფრაქციის თავჯდომარის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღება;

4. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების ცნობად მიღება;

5. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებს და საკრებულოს ფრაქციებს განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 21 აპრილისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნები განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ" რის შემდეგაც აღნიშნული კომისიების და ფრაქციის თავმჯდომარეებმა ბიუროს გააცნეს კომისიების და ფრაქციის დასკვნები. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ" შეტანილ იქნას მ/წლის აპრილის თვის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მომართვა წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ფრაქციის წევრების გასვლის და ფრაქციის თავჯდომარის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ფრაქციის წევრების გურამ მგელაძის და ნოდარ ბერიძის გასვლა და ფრაქციის თავჯდომარედ მალხაზ მგელაძის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ჯონი საბაძის არჩევა;

4. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული

საქართველო“ და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეების განცხადების შესაბამისად საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 19-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ²“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებბულოს ბიუროზე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში შეტანილი ცვლილებები დანართის შესაბამისად;

5. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ. რის შემდეგაც ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული დასკვნა რომლითაც საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განსაზღვრულია შემდეგნაირად: **სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია**-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 8 კვოტა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2 კვოტა, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ 1 კვოტა; **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 8 კვოტა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1 კვოტა, უფრაქციო საკრებულოს წევრი 2 კვოტა; **ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია**-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 8 კვოტა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1 კვოტა, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ 1 კვოტა, უფრაქციო საკრებულოს წევრი 1 კვოტა; **სოციალურ საკითხთა კომისია**-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 8 კვოტა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2 კვოტა, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ 1 კვოტა, უფრაქციო საკრებულოს წევრი 1 კვოტა; **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია**-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 8 კვოტა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2 კვოტა, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ 2 კვოტა: ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 19-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცებულ იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *იგიგინეიშვილი*